საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახუნცეთის განძი

მახუნცეთის განძი, ბრინჯაოს ნივთების განძი სოფ. მახუნცეთიდან (ქედის მუნიციპალიტეტი). შედგება ორფერდა ყუამილიანი, სწორი შუბლის მქონე ბრინჯაოს ცულისაგან და ბართოხის ნატეხებისაგან. აღმოჩენის წელი არ სახელდება. სავარაუდოდ, მ. გ. უნდა დათარიღდეს შუა ბრინჯაოს დასასრულით და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისით.

1970 მახუნცეთში აღმოუჩენიათ ბრინჯაოს წალდიც.

ლიტ.: კ ა ხ ი ძ ე ა., მ ა მ უ ლ ა ძ ე შ., აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993; რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ალ., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათ., 1974; ქ ო რ ი ძ ე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

ლ. ჯიბლაძე